პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება№

2022 წლის ?? სექტემბერი
ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველინაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 91-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლისდა „ნორმატიულიაქტებისშესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისმე-20 მუხლის, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N17 დადგენილებაში(www.matsne.gov.ge, 30/12/2021, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016449), კერძოდ:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **5 335 223 ლარით:**

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საგადასახადო შემოსავლები **490 000** ლარით;

კერძოდ:

დამატებული ღირებულების გადასახადი **(ორგანიზაციული კოდი 114) – 490 000 ლარით;**

2. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში სხვა შემოსავლები **577 000** ლარით;

- ჯარიმები, სანქციები, საურავები (ორგანიზაციული კოდი 143) – 577 000 ლარით;

3. ა/წლის 11 ნოემბერს საქართველოს მთავრობის #2055 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 26 იანვრის #131 განკარგულებაში ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე", რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **2 665 000** (ორიმილიონ ექვსას სამოცდახუთი ათასი) ლარი.

4. შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსება გაიზარდა **1 603 223** (ორმოცდაჩვიდმეტიათას ას ცამეტი) ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს:

1. საქართველოს მთავრობის #2055 განკარგულებით გამოყოფილი თანხის სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 02 10 – 61.1.1.11) – **2 665 000** ლარით;

2. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" ცვლილების შესაბამისად გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი - 02 01 02– 61.1.1.5.) – **1 603 223** ლარით;

---

3. საკუთარი შემოსავლებიდან გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი - 02 01 02– 61.1.1.5.) – **236 000** ლარით;
4. საკუთარი შემოსავლებიდან ა.(ა)ი.პ. სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 04 01 01– 2.5) – 350 000 ლარით;**
5. საკუთარი შემოსავლებიდან კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა , საქონელი და მომსახურება **(ორგანიზაციული კოდი - 05 02 01– 2.2.10.14) – 200 000 ლარით;**
6. საკუთარი შემოსავლებიდან სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 05 01 02– 2.5) – **40 000** ლარით;
7. საკუთარი შემოსავლებიდან სპორტული კლუბების ხელშეწყობა, სუბსიდია **(ორგანიზაციული კოდი - 05 01 03– 2.5) – 133 000 ლარით;**

8. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება **(ორგანიზაციული კოდი - 06 01 02 – 2.7.)** – **50 000** ლარით;
9. გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება **(ორგანიზაციული კოდი - 06 01 05 – 2.7.)** – **38 000** ლარით;
10. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება, სხვა ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 06 02 08– 2.8.2.1) – **20 000** ლარით;

შემცირდეს :

11. ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (**ორგანიზაციული კოდი - 06 01 04 – 2.7.) – 15 000 ლარით;**
12. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (ორგანიზაციული კოდი - 06 02 01 – 2.7.) – **20 000** ლარით;
13. სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (ორგანიზაციული კოდი - 06 02 11 – 2.7.) – **25 000** ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს:

14. მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება **(ორგანიზაციული კოდი - 06 01 02 – 2.7.)** – **25 000** ლარით;
15. გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება **(ორგანიზაციული კოდი - 06 01 05 – 2.7.)** – **35 000** ლარით;